ზოგადი ხედვა

1. როგორია თქვენი ხედვა ქალაქის განვითარების ძირითადი პრიორიტეტების შესახებ?

ჩვენი გუნდის გეგმით:

- გავაოთხმაგებთ გამწვანებას.
- შევქმნით საზოგადოებრივი ტრანსპორტის ეფექტიან სისტემას და შევამცირებთ საცობებს.
- ყველა სოციალურად დაუცველი მიიღებს 100 ლარიან დახმარებას და 60 ლარიან სადაზღვევო პაკეტს მედიკამენტებისთვის.

განვითარება და ეკონომიკა

2. გთხოვთ, მოკლედ აღწეროთ ქალაქის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების თქვენეული ხედვა/გეგმა (თუკი ასეთი გაქვთ).

კანდიდატის პასუხი ამ თემაზე უცნობია.

3. თქვენი აზრით, რა არის ის მთავარი პრობლემები, რომელიც თქვენი ქალაქის ეკონომიკურ განვითარებას ხელს უშლის?

კანდიდატის პასუხი ამ თემაზე უცნობია.

4. თქვენი აზრით, რა არის თქვენი ქალაქის ძირითადი შესაძლებლობები/უპირატესობები, რომელთა გამოყენებასაც შეეცდებით მისი ეკონომიკური და ურბანული განვითარების მისაღწევად?

კანდიდატის პასუხი ამ თემაზე უცნობია.

5. როგორია თქვენი საბიუჯეტო პრიორიტეტები? გთხოვთ, მოკლედ განმარტოთ თქვენი საბიუჯეტო პოლიტიკა.

თბილისის ბიუჯეტში არის უზარმაზარი რესურსი. ეკონომიკური ზრდის მეშვეობით, 4 წლის განმავლობაში ქალაქს შემოსავლის გაზრდის რესურსი აქვს. 2014 წლიდან 2017 წლამდე თბილისის ბიუჯეტი 322 მილიონით გაიზარდა იმ ფონზე, როცა ეკონომიკური ზრდა მხოლოდ 3,5% იყო. ეკონომიკური ზრდა ავტომატურად ზრდის ქალაქის ბიუჯეტსაც, რადგან ტრანსფერის მოცულობაც იზრდება. მომდევნო 4 წლის განმავლობაში საერთაშორისო ორგანიზაციების ყველაზე პესიმისტური პროგნოზით 4,5% უნდა იყოს ზრდა, შესაბამისად, ჯამში (მინიმუმ) 500 მილიონამდე უნდა გაიზარდოს ბიუჯეტი. ამასთან ერთად, მხოლოდ ბიუროკრატიის ხარჯის შემცირებით იგეგმება 75 მილიონის დაზოგვა. ეს 4 წელიწადში 700-800

მილიონი ლარით მეტ თანხას შეადგენს. სოციალური პროგრამებისთვის, 900 ჰექტარი ბრაუნფილდების გამწვანებისთვის, ბაღების ვაუჩერიზაციისათვის, მდინარეების გახსნისთვის თუ საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებისთვის ეს თანხა აბსოლუტურად საკმარისია.

6. რა ღონისძიებებს გაატარებთ ქალაქის ბიზნეს და კომერციული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ინვესტიციების მოზიდვის ხელშესაწყობად?

კანდიდატის პასუხი ამ თემაზე უცნობია.

ურბანული განვითარება / ქალაქდაგეგმარება / ბინათმშენებლობა

7. რა ღონისძიებებს გაატარებთ უკეთესი ხარისხის საბინადრო პირობების შესაქმნელად მოქალაქეთათვის?

კანდიდატის პასუხი ამ თემაზე უცნობია.

8. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ ქალაქის ქუჩების სისუფთავის გასაუმჯობესებლად?

კანდიდატის პასუხი ამ თემაზე უცნობია.

ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტი

9. რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის გაუმჯობესებისათვის?

ქალაქში არსებული მთავარი პრობლემებია - საცობები, პარკირება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმართაობა, ტრანსპორტით გამოწვეული გარემოს დაბინძურება, და სატრანსპორტო სისტემას მოწყვეტილი უბნები. თბილისში მოძრაობს 490,000-მდე კერძო მანქანა, 50,000-მდე ტაქსი, 1,800 სამარშრუტო ტაქსი და 520 ავტობუსი. გვჯერა, რომ პრობლემის მოგვარება არა ახალი გზების აშენება, არამედ ეფექტური საზოგადოებრივი/მუნიციპალური ტრანსპორტის სისტემის შექმნაა.

მეტრო თბილისის ყველაზე დიდი ინფრასტრუქტურული პროექტია. ყოველდღიურად მეტროთი 289,000 მგზავრი გადააადგილდება. ამიტომ, მეტრო უნდა გახდეს თბილისის სატრანსპორტო სისტემის ხერხემალი და სწორედ მასზე უნდა მოხდეს დანარჩენი ტრანსპორტის დაშენება. მეტროს 7 შემადგენლობის დამატების შემთხვევაში, ქალაქს/მეტროპოლიტენს აქვს რესურსი, რომ დღეში დააახლოებით 500,000-მდე გაზარდოს გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა. ეს ნიშნავს: ყოველდღიურად 60,000 მანქანის გამოკლებას თბილისის ქუჩებისთვის, რაც ქალაქის ჰაერს წელიწადში 280,000 ტონა ნახშიროჟანგს მოაკლებს.

თბილისში გარკვეული უბნები მოწყვეტილია საერთო სატრანსპორტო სისტემას. ამის გამოსასწორებლად, ტრამვაიმ შეიძლება დაფაროს ის არეალები/უბნები, რომლებიც თბილისის

სატრანსპორტო სისტემისგან არიან მოწყვეტილნი. უნდა განვითარდეს ძირითადი, პრიორიტეტული ხაზები სადაც მხოლოდ დიდი, მოცულობითი ავტობუსები ივლიან, ხოლო სამარშრუტო ტაქსი, პირველ ეტაპზე, უნდა გადავიდეს პერიფერიაში, რათა შემდეგ თანდათანობით მოხდეს მათი სრული ჩანაცვლება. ჩემი გეგმის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, რომ 4 წლის განმავლობაში ყოველდღიურად 100,000 მანქანით ნაკლებმა იმოძრაოს თბილისის ქუჩებში.

მანქანების გაზრდილი რაოდენობა იწვევს პარკინგის პრობლემას, რის გამოც აღარ არსებობს ტროტუარები. ტროტუარები, კი CT Park-ის მიერ დახაზული პარკინგის არეალებად იქცა. აუცილებელია, CT Park-თან ხელშეკრულების გაწყვეტა. უნდა გამოცხადდეს ღია, საერთაშორისო ტენდერი და შეირჩეს კომპანია, რომელსაც მთავარი პირობა ექნება პარკინგის და მიწისქვეშა და/თუ მიწისზედა ინფრასტრუქტურის შექმნა. აუცილებელია, რომ პრობლემურ რაიონებში 500-დან 700 მეტრის რადიუსში იყოს ერთი პარკინგის ადგილი.

10. რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ ქალაქში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესებისათვის?

კანდიდატის პასუხი ამ თემაზე უცნობია.

11. რა ღონისძიებებს გაატარებთ შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ქალაქში გადაადგილების შესაძლებლობების გაუმჯობესებისთვის?

კანდიდატის პასუხი ამ თემაზე უცნობია.

კულტურა და განათლება

12. რა პროგრამებს განახორციელებთ კულტურული ცხოვრების გაუმჯობესებისათვის?

კანდიდატის პასუხი ამ თემაზე უცნობია.

13. თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, რას მოიმოქმედებთ განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით?

ჩვენი გუნდის გეგმით, მშობლებს, ბავშვის მუნიციპალურ ბაღში მისაყვანად, აღარ დასჭირდებათ ჩაწყობა და რეგისტრაციაზე ღამეების თენება, ხოლო კერძო ბაღები, აღარ იქნება ფუფუნების საგანი. ყველა ოჯახი თითო ბავშვზე მიიღებს 2,100 ლარიან, ხოლო ყველა სოციალურად დაუცველი ოჯახი თითო ბავშვზე 3,500 ლარიან ვაუჩერს. აქედან გამომდინარე, მშობლები თავად აირჩევენ მუნიციპალურ ბაღში ატარონ საკუთარი შვილი თუ კერძოში.

უსაფრთხოება და კრიმინალი

14. თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, რა ღონისძიებებს გაატარებთ კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლის, კრიმინალის პრევენციისთვის?

კანდიდატის პასუხი ამ თემაზე უცნობია.

ჯანდაცვა და სოციალური პოლიტიკა

15. როგორი იქნება თქვენი სოციალური პოლიტიკა და რა სოციალური პროგრამების განხორციელებისათვის იზრუნებთ ქალაქში?

თბილისის მოსახლეობის მესამედი ცხოვრობს სიღატაკის ზღვარს მიღმა. ყოველ მეშვიდე ადამიანს საკვებისთვის თანხა ფულის სესხებით აქვს. 1,200,000 ადამიანი არის სოციალურად დაუცველთა სიაში. მთელი საქართველოდან, 460,000 ადამიანი იღებს აღნიშნულ დახმარებას, აქედან 100,000 მოდის თბილისზე. ეს დახმარება თვეში 60 ლარს ანუ დღეში 2 ლარს შეადგენს. 2016 წლის არჩევნებამდე 1 თვით ადრე სოციალურად დაუცველ ადამიანთა რაოდენობა 80,000-ით გაიზარდა, არჩევნების შემდეგ 6 თვეში კი 59,000 ადამიანს მოუხსნეს. მსგავსი სოციალური პოლიტიკით დღეს სახელმწიფო ხელს უწყობს სიღარიბეს.

ჩემი გამარჯვების შემთხვევაში, 4 წლის განმავლობაში ვერავის ამოიღებენ სოციალური სიიდან. ჩემი გამარჯვების შემთხვევაში, აღნიშნული დახმარება 60 ლარის ნაცვლად 100 ლარი გახდება, 40 ლარის განსხვავების დამატება კი თბილისის ბიუჯეტიდან მოხდება. ეს პროგრამა იქნება სიღარიბის დაძლევის პროგრამა და არა დილიდან საღამომდე თავის გატანის პროგრამა. როგორ შეიძლება ამ რაოდენობის თანხის მობილიზება? თბილისის ბიუჯეტიდან სოციალური მიზნებით სხვადასხვა პროგრამებისთვის, საკმაოდ არამიზნობრივად, წელიწადში 138,000,000 ლარი იხარჯება; 15,000,000 ლარი - ჯანდაცვის პროგრამებით სოციალურად დაუცველებისათვის; დამატებით 61,000,000 ლარი - სოციალური სააგენტოდან, თბილისის სოციალურად დაუცველებისათვის. უნდა მოხდეს აღნიშნული თანხების აკუმულირება და მათი ერთბაშად დახარჯვა სოციალურად დაუცველი ადამიანებისათვის. ამისათვის, 4 წლის განმავლობაში თბილისის ბიუჯეტიდან 40 მილიონის დამატება გახდება საჭირო, რაც წელიწადში 10,000,000 ლარია. სოციალურად დაუცველ ადამიანებს გარანტირებულად მიეცემათ 100 ლარიანი დახმარება თვეში.

16. რა ღონისძიებებს განახორციელებთ ჯანდაცვის ზოგადი ინდიკატორების გასაუმჯობესებლად თქვენს ქალაქში?

სოციალურად დაუცველთა ბაზაში მყოფი პირებისათვის შემუშავდება 60 ლარიანი კერძო სადაზღვევო პოლისი.

17. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ ქალაქში მიუსაფართა სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად?

კანდიდატის პასუხი ამ თემაზე უცნობია.

ეკოლოგია, რეკრეაცია და სპორტი

18. რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?

- ჯანსაღი ხეების მოჭრა აიკრძალება და მკაცრად გაკონტროლდება;
- მოხდება პარკებისა და სკვერების ინვენტარიზაცია. დადგინდება წითელი ხაზები;
- არსებული სარეკრეაციო სივრცეების რაოდენობა გაოთხმაგდება, რაც გულისხმობს იმას, რომ დღეს არსებული 3 კვ.მ მწვანე საფარი ერთ სულ მოსახლეზე შეიცვლება და იქნება 12 კვ.მ. შესაბამისად, არსებული 300 ჰექტარი გამწვანება გაიზრდება ჯამში 1,200 ჰექტრამდე;
- თბილისის ტერიტორიაზე მიმოფანტული ძველი ნაგებობები (ქარხნები, ნანგრევები) ქალაქის ფრაგმენტიზაციას ახდენს და შეადგენს დაახლოებით 1,800 ჰექტარს. აღნიშნული ტერიტორიის ნახევარი, კერძოდ 900 ჰექტარი, კეთილმოეწყობა როგორც სარეკრეაციო ზონა;
- თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სრულყოფილად გაიწმინდება მდინარე მტკვარი;
- მოხდება მცირე მდინარეების კალაპოტების გახსნა, რაც ხელს შეუწყობს ჰაერის ცირკულაციას და გაწმენდას;
- განხორციელდება მშენებლობების კონტროლი ჰაერის დაბინძურების კუთხით, ამავე პროექტით გამკაცრდება სამშენებლო და საზოგადოებრივი ტრანსპორტის კონტროლი ჰაერის დაბიძურების კუთხით;
- მოხდება დენდროლოგიური გეგმის შედგენა, უახლესი 20 წლის განმავლობაში ურბანული ხეების სახეობების განსაზღვრით.

19. რა ღონისძიებებს გაატარებთ ქალაქში რეკრეაციული ზონების, პარკების გაფართოებისა და განვითარებისთვის?

თბილისს აქვს 1,800 ჰექტარი რეკრეაციული ზონის რესურსი. ეს არის მიტოვებული ქარხნები და სამხედრო ტერიტორიები (ელმავალმშენებელი, თემქის საპარკო ზონა, ვერეს საპარკო ზონა, ელექტროდეპო). გამარჯვების შემთხვევაში, ჩემი გუნდის გეგმით ამ ტერიტორიებზე გაშენდება რეკრეაციული ზონები. პირველ ეტაპზე მოხდება 900 ჰექტარის ათვისება, რაც მწვანე საფარის რაოდენობას ერთ სულ მოსახლეზე ოთხჯერ გაზრდის.

20. რის გაკეთებას აპირებთ სპორტის და ჯანსაღი ცხოვრების წესის განვითარებისთვის და სპორტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად?

კანდიდატის პასუხი ამ თემაზე უცნობია.

თბილისი

1. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ ქალაქში ქვეითთა გადაადგილების უსაფრთხოებისა და კომფორტის გასაუმჯობესებლად?

ჩემი გეგმის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, რომ 4 წლის განმავლობაში ყოველდღიურად 100,000 მანქანით ნაკლებმა იმოძრაოს თბილისის ქუჩებში. უნდა შეიცვალოს ავტობუსებისა და სამარშრუტო ტაქსების მოძრაობის არეალები. უნდა განვითარდეს ძირითადი, პრიორიტეტული ხაზები სადაც მხოლოდ დიდი, მოცულობითი ტევადობის მქონე ავტობუსები ივლიან, ხოლო სამარშრუტო ტაქსი, პირველ ეტაპზე, უნდა გადავიდეს პერიფერიაში, რათა შემდეგ თანდათანობით მოხდეს მათი ჩანაცვლება.

მანქანების გაზრდილი რაოდენობა იწვევს პარკინგის პრობლემას, რის გამოც აღარ არსებობს ტროტუარები. ტროტუარები, კი CT Park-ის მიერ დახაზული პარკინგის არეალებად იქცა. აუცილებელია, CT Park-თან ხელშეკრულების გაწყვეტა. უნდა გამოცხადდეს ღია, საერთაშორისო ტენდერი და შეირჩეს ნორმალური კომპანია, რომელსაც მთავარი პირობა ექნება პარკინგის და მიწისქვეშა და მიწისზედა ინფრასტრუქტურის შექმნა. აუცილებელია, რომ პრობლემურ რაიონებში 500-დან 700 მეტრის რადიუსში იყოს ერთი პარკინგის ადგილი.

2. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ ქალაქში საავტომობილო მოძრაობის მოწესრიგების და საცობების შემცირების მიზნით?

კანდიდატის პასუხი ამ თემაზე უცნობია.

3. რა ღონისძიებების გატარებას აპირებთ უპატრონო ცხოველების პრობლემის მოსაგვარებლად?

კანდიდატის პასუხი ამ თემაზე უცნობია.

4. რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ დაუსრულებელი მშენებლობების, ავარიული შენობა-ნაგებობების პრობლემების დარეგულირებისათვის?

კანდიდატის პასუხი ამ თემაზე უცნობია.

5. რა ღონისძიებებს გაატარებთ ქალაქის ისტორიული იერსახის შესანარჩუნებლად?

კანდიდატის პასუხი ამ თემაზე უცნობია.

6. როგორია თქვენი პოზიცია თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის საკითხზე?

კანდიდატის პასუხი ამ თემაზე უცნობია.